ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 2022 წელი

შპს პროსერვისი (შემდგომში კომპანია) წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ნაროშვილის სახით და მცირე მეწარმე _____ (ს/ნ _____) (შემდგომში პარტნიორი) წარმოდგენილი _____ სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

   შპს პროსერვისი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგიტრირებულ საწარმოს და რეგისტრირებულია საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ. კომპანიის ძირითად საქმინობას წარმოადგენს ჰოსტინგ პროვაიდერული მომსახურება, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, საინფორმაციო ტექნოლოგიური სერვისები. კომპანიის მიზანია გააფართოვოს მომხმარებელთა ქსელი, რისთვისაც თავის აბონენტებს სთავაზობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერვისსა და ტექნიკურ დახმარებას.
   ქსელის გაფართოვების მიზნით, კომპანია დებს ამ ხელშეკრულებას პარტნიორთან, რათა მისი დახმარებით მოხდეს ახალი აბონენტების მოზიდვა.

2. კომპანიის ვალდებულება

   შპს პროსერვისი, ვალდებულია მიაწოდოს პარტნიორის მიერ მოზიდულ აბონენტებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის სერვისი, უზრუნველყოს მათი მომსახურება და ტექნიკური დახმარება 24 საათის განმავლობაში 24/7 სტანდარტით სამუშაო საათებში - დილის 10:00 საათიდან 18:00 საათამდე სატელეფონო ნომრით 2430044, ხოლო არასამუშაო საათებში ელ. ფოსტით support@proservice.ge და ბილინგის სისტემის დახმარების მოდულის მეშვეობით, აღრიცხოს პარტნიორის მიერ მოზიდული აბონენტები გამჭვირვალედ ორივე მხარისათვის, ასევე უზრუნველყოს პარტნიორის მიერ გამომუშავებული თანხების გამჭვირვალეობა და მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა უზრუნველყოს გამომუშევებული/მოთხოვნილი თანხის გადარიცხვა პარტნიორის ანგარიშზე. მოთხოვნის შემთხვევაში გამოყოს პარტნიორისათვის, მისი კუთვნილი ვებ გვერდისათვის 10 გბ ვებ ჰოსტინგი სიმბოლური ღირებულებით - წელიწადში 10 ლარად.

3. პარტნიორი ვალებულია

   მოიზიდოს ახალი აბონენტები და შესთავაზოს მათ კომპანიის სერვისები. ახალი აბონენტის კომპანიის სისტემაში რეგისტრაციისას, აცნობოს ამის შესახებ ფინანსურ განყოფლებას ელ. ფოსტაზე contact@proservice.ge

4. თანხის გამომუშავებისა და ანაზღაურების წესი

   პარტნიორის მიერ საკომისიოს გამომუშავება იწყება 5 ახალი აბონენტიის კომპანიის სისტემაში რეგისტრაციის შემდეგ, მათ შორის როგორც განაწილებული (შეარდ) ჰოსტინგისათვის, ასევე ვირტუალური და ფიზიკური სერვერების არენდის სერვისებზე. ყოველი მოზიდული აბონენტისათვის,

საკომისიო შეადგენს 10 (ათი) პროცენტს. საკომისიოს გამოთვლა წარმოებს პარტნიორის მიერ მოზიდული აბონენტის მიერ გადახდილი ინვოისების საფუძველზე. საპარტნიორო პროგრამა არ ვცელდება მხოლოდ აბონენტების მიერ რეგისტრირებულ დომენურ სახელებზე და სერვერის მართვის ლიცენზიებზე, როგორიცაა DairectAdmin, Cpanel, Pleski, SSL სერთიფიკატების ლიცენზიები.
თუ პარტნიორი წარმოადგენს რეგისტრირებულ საწარმოს ან არის ინდივიდუალური მეწარმეს (მცირე მეწარმე) , თანხის ანაზღაურება ხდება სრულად. თუ პარტნიორი წარმოდგენს კერძო პირს, კომპანია ბეგრავს გამომუშავებულ თანხას საშემოსავლო გადასახდით და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება კომპანიას. ამ შემთხვევაში პარტნიორს ერიცხება თანხა საშემოსავლო გადასახდის გამოკლებით. გამომუშავებული თანხები აღრიცხულია სისტემაში billing.proservice.ge, მენიუში „საპარტნიორო პროგრამა“ და გამჭვირვალეა ორივე მხარისათვის. პარტნიორი თავად აკონტროლებს მის მიერ გამომუშევებული თანხის ოდენობას, დაგროვებას და თანხის გადარიცხვის მოთხოვნის ინიცირებას აწარმოებს სისტემის მეშვებოთ. თანხის გადარიცხვა პარტნიორისათვის წარმოებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით - გადარიცხვით, მის მიერ რეგისტრაციისას/ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

მხარეები იღებენ ვალდებულებას იმოქმედონ ურთიერთპატივისცემის პრინციპებით,
დაიცვან ერთმანეთის კანონიერი ინტერესი და ჯეროვნად შეასრულონ მათ მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება;
დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გადასცენ მესამე პირებს სისტემაში billing.proservice.ge განთავსებული ფინასური თუ სხვა სახის ინორმაცია.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, დავების გადაწყვეტის წესი

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი წლის მანძილზე. ამასთან, ამ ვადის გასვლის შემდგომ, თუ ფაქტიურად ხელშეკრულების პირობების შესრულება გრძელდება, მისი მოქმედების ვადა გრძელდება ავტომატურად, ყოველ მომდევნო პერიოდში იგივე ვადით. მხარეები იღებენ ყველა ზომას იმისათის, რომ წამოჭრილი სადავო საკითხები გადაწყვეტილი იქნას მოლაპარაკების გზით. თუ მოლაპარაკების შედეგად დავის გადაწყვეტა შეუძლებელია, საკითხის განხილვა გაგრძელდება შპს ,,დავების განმხილველი ცენტრი“ (DRC) -ს მიერ და მისი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის.
ხელშეკრულება შესაძლებელია ხელმოწერილი იყოს ფიზიკურად ან ელექტრონულად.

მხარეთა რეკვიზიტები

პარტნიორი	შპს პროსერვისი
(ს/ნ 01008060281)	ს/კ 204929168
მის: ქ. თბილისი	მის: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ჩიხი 3
ბანკი:	ბანკი: თიბისი ბანკი
ა/ა	ა/ა GE28TB0600000303467561
_____	_____